# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 138

წელიწადი მეორე

1913

შაბათი, 7 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქვრივი ნინო სტურუასი შვილები ისიდორე, ანტიოხი და დავითი და სტეფანე პეტრეს ძე სტურუა მეუღლითურთ ამით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, 8 ეკენისთვეს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

**ივანე პეტრეს ძის სტურუას**

სულის მოსახსენებლათ.



ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## პაროსი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

ტფილისში.



## ახალი უვნებელი საშვალება რძე პირისახისათვის „ზეფფი"

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.



## ავიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ლებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.

იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა და თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.



## ჭრა-კერვის სპეციალური სახელოსნო

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: ტფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით **საშ ჭყონიასი.**



## 1913 წლის 1 ეკენისთვიდან

ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება

## პირველი კერძო საავათმყოფო

სპეციალისტი ექიმების მუდმივი საწოლებით.

საავათმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდისა, ნახველისა, სისხლისა და სხვ. ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, კონსულტაციურათ 606 და 914 შესხმა. არის განკერძოებული ოთახები მძიმე ავათმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა ექიმებისა.

დამფუძნებელი ექიმები:
ექ. გ. ა. ჭოლოშვილი,
— გ. ს. ნადირაძე,
— მ. დ. ბეთანელი,
— დ. ი. ჯაფარიძე.



## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

### ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: ობორინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.



გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ;** ყოველგვარი ღვინოები, ტკბილი სასმელები და ცივი მინერალური წყლები.

**რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**



## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.



**ექიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.



**ექიმი** კ. ი. **აშიანცი** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. პ. აშიანცის სახლი.**



ექიმი კ. ი. კაკიტელაშვილი

საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს.

4 —15



## ქუთაისის ქართულ გიმნაზიის

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი"-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.



## ექიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., სად. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



**ექიმი** ქ. თ. **ტყეშელაშვილი.**

ღებულობს ავათმყოფებს

**(შინაგანი ვენერიული კანის)** ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



შინაგან სნეულებათა **ექიმი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



## დავკარგე

ვადა გასული საზღვარ გარეთელი პასპორტი, მნახველს უმორჩილესად ვთხოვ გაზ. „იმერეთის" რედაქციას გადასცეს.

**სტუდენტი კ. გამსახურდია.**


## ქართული პრესა.

დასელების სამარცხვინო განგაშმა ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანა თფილისის მუშები. „სახალხო გაზეთის" გუშინდელ №-ში ისინი სწერენ:

დიდიხანია გვინდოდა ხმა ამოგვეღო, გულში ჩამარხული გრძნობა შეურაცყოფილ ადამიანისა საზოგადოებისათვის გაგვეზიარებია, მაგრამ თავს ვიკავებდით: გვეგონა თავაღებულ კამპანიას ბოლო მოეღებოდა და ჩვენის უდიდესი მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახელს კიდევ ჯვარზე არ გააკრავდენ. სანამ პოლემიკა ზრდილობის საზღვრებს არ სცილდებოდა, ჩვენ გაჩუმებული თვალყურს ვადევნებდით. ბევრი რამ არ მოგვწონდა ამ პოლემიკაში, მაგრამ გულის ტკივილით ვითმენდით, და ველოდით, დაუსრულებლათ ველოდით, როდის მოეღებოდა ბოლო ამ უაზრო კამპანიას. მაგრამ მოვტყუვდით. ჩვენმა დასელებმა კვლავ ბურთივით გაიგდეს დიდებული ილია და საფლავშიც არ ასვენებენ: დაიწყო პროტესტების გამოცხობა. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, როგორ იწერება ეს პროტესტები, რადგანაც ოდესღაც ჩვენც მიგვიძღოდა ცოდვა ამისთანა საქმეებში. სწორეთ ამიტომაც ჩვენ სრულიად უყურადღებოთ ვსტოვებდით ამ პროტესტებს, რომლებიც მხოლოდ ისეთ ადამიანზე მოახდენდენ შთაბეჭდილებას, რომელსაც არ იცის რანაირი საშვალებით და რანაირი ხრიკებით გროვდება ასეთი პროტესტები. არც ახლა მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ პროტესტანტებმა და მათმა ხელმძღვანელებმა ნელნელა შეაპარეს ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც ფ. მახარაძემ და მისმა დამქაშებმა ილია ჭავჭავაძის შესახებ დასწერეს, მართალიაო. ეს მეორე შეურაცყოფაა ილიასი, ეს მეორე მოკვლაა ტანჯული ადამიანისა. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ შეიძლება ადამიანი ყველაფერში არ ეთანხმებოდეს ილია ჭავჭავაძეს. განა აწ განსვენებული არჩილ ჯორჯაძე არ ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს? მაგრამ რა აქვს საერთო ამისთანა კამათს იმ ბარბაროსობასთან, რომელიც ფ. მამახარაძემ ჩაიდინა და რომელსაც ახლა მხარს უჭერენ პროტესტანტები. ფ. მახარაძემ და მთელმა მისმა ღვარძლიანმა კამპანიამ კაცური კაცობა აყარა ილიას, მიწასთან გაასწორა, როგორც ადამიანი, ჭავაზაკი უწოდა, ჯაშუში და სხვ.

ასეა, ალვირ-ახსნილი უტიფრობა მოთმინებიდან გამოიყვანს ადამიანს:

# კვლავ პრესის მახინჯებს.

როცა დასელების წინანდელი და ახლანდელი „მეარლანენი“ ჩვენს გაზეთს მოიხსენიებენ—ასეთი ეპიტეტებით მოგვმართავენ ხოლმე:—„კვირიკეების ორგანო“, „მასხარა იმერეთი“ და მისთანები. ასეთ მარგალიტ სიტყვებს ჩაბერვენ ისინი თავის „შეგნებულ“ მუშებსა და ისინიც ჭურში მყოფნი იმეორებენ ამ ეპიტეტებს. ასე ყავთ გაწვრთნილი და ზნეობა-ზდილობა გაფაქიზებული „თავიანთი მუშები“, ასე გაათახსირეს ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა ამ კალმისა და აზრის მახინჯმა მებაირალტრებმა.

მასხარა „იმერეთი“ კი არაა—„იმერეთი“ და მისი კვირიკე-სამშაბათელები ამასხარებენ დასელებსა და მათს ორგანოებს, მასხრათ ხდიან მათ ხშირათ, და ამით გაბრაზებული დასელები ამიტომაცაა, რომ მიმართვენ ასეთ უწმაწურ სიტყვებს..

არა, საბრალონო! ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ხშირ-ხშირათ გვიხსენიებდეთ. გვაშოროს თქვენგან მოხსენიება, თქვენი ხსენება კი არა ღირს უმისოთ, რომ მართლაც თქვენი გასამასხრებელი ჰანგი არ ვიხმაროთ... განა სხვა კილოზე შეიძლება თქვენთან კამათი, მახინჯნო სულითა?!

# სახალხო მასწავლებლები.

ვიდრე სახალხო მასწავლებლები, ამათი მეტი ნაწილი სამართლიანად არ დაიმსახურებენ იმ სახელს, რომელსაც ისინი დღეს ასე ულირსად ატარებენ, არც წერა და თქმა უნდა მოისპოს მათზე.

4 აგვისტოს „იმერეთის“ ნუმერში დაბეჭდილია ბ. გერასიმეს წერილი „სახალხო მასწავლებლები“. რომელშიც ავტორი ასუბუქებს, თითქოს ამართლებს ახლანდელი მასწავლებლების უმოქმედობას. მსურს ჩემი პირადი დაკვირვებანიც ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას.

დღეს ყველასათვის აშკარაა ის გარემოება, რომ სახალხო მასწავლებლები ვერ დგანან იმ წერტილზე, რომელზეაც ისინი იდგნენ, ვერ ამაღლებულან გონებრივათ იქამდი, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა იმ მოთხოვნილებას რაც აუცილებლათ დააკმაყოფილებდა ხალხის კეთილდღეობას, მის წარმატებას.

ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო მასწავლებლების დანიშნულება მარტო ბავშების სწავლა-აღზდა არ არის. მას უნდა ქონდეს მჭიდრო კავშირი თვით ხალხთანაც, უხელმძღვანელოს მას. შეიტანოს მასსაში განათლება, გაუხსნას გონება, აუხსნას რა არის დღევანდელ ცხოვრებაში ავი და კარგი, საით უნდა მივისწრაფოდეთ და რა გზით.

დღეს-კი ჩვენ თვალწინ იშლება სულ სხვა სურათი. მასწავლებელსა და ხალხს შორის შემაკავშირებელი ძაფი გაწყვეტილია. მათ შორის თითქო ხიდი ჩატეხილია: ერთი მხრით დგას მასწავლებელი, მეორეთი ხალხი. ისინი ერთმანეთს უნდობის თვალით უყურებენ.

სად არის ხალხში მუშაობა, სად არის ხალხის თვითგაცნობიერება? ვერ ხედავენ, საუბედუროთ, მასწავლებლების მუშაობას ხალხში და ყველას გული გაუტყდა ჩვენზე, რაც ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ. არ ვამბობ გამონაკლისებზე, ვუცქერი მხოლოდ საერთო სურათს.

ხალხს სწყურია, რომ მასწავლებელი იყოს მისი დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი. აბა დაუკვირდით როგორი გაფაციცებით ყურს გიგდებს ხალხი, როდესაც თქვენ მას რომელიმე საგანს, მოვლენას უმარტავთ. აიღეთ გაზეთი ხელში, დაუწყეთ კითხვა და თვალი ადევნეთ, როგორ გისმენს ხალხი. თქვენი სიტყვა მათთვის ავტორიტეტია. ძალიან ხშირად სოფლის გლეხი ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლათ მოყავს მასწავლებლის სიტყვები და ამბობს: „მასწავლებელმა ასე სთქვა“-ო.

ნიადაგი გვაქვს, მაგრამ მუშები არ არიან, „მოსამკელი ბევრია, მაგრამ კომკლები არ არიან“. საკმარისია გამოვიჩინოთ მოქმედების, მუშაობის სურვილი და ხალხიც ჩვენს ირგვლივ შეიკრიბება.

გადავავლოთ თვალი, რა ადგილი უჭირავს სახ. მასწავლებელს თვით სწავლა-აღზდის საქმეში?

მიყავთ კი „ხუთი გაკვეთილი“ სასურველათ? ასწორებენ „ორ საათს“ რვეულებს დაკვირვებით, როგორც ამას მოითხოვს წერის მეთოდი? ემზადებიან თუ არა შემდეგი დღის გაკვეთილებისთვის, თუ ვარაუდობით გადიან ფონს? ხშირათ გაიგონებთ: ხუთი გაკვეთილი მაქვს დღეში, მაგრამ უმრავლესობას თუ სამი საათი დარჩება დღეში ბეჯითი მეცადინეობისა—მეტზე კი ნურას უკაცრავათ!

განა ცოტაა ისეთი მასწავლებლები, რომელთაც თვეობით არა აქვთ რვეულები გასწორებული? რა უნდა გამოვიდეს ასეთი „ტყვილა წერისაგან“? თვით წერაც რაღაც უსულო და უგულო საგნათ არის გადაქცეული. უმეტეს შემთხვევაში წერის დროს ბავშების თვითმოქმედებას ყურადღება არა აქვს მიქცეული. რა საჭიროა ბავშებში თვითმოქმედების განვითარება, რომელიც დაკვირვებას და შრომას მოითხოვს მასწავლებლისაგან? განა უფრო ადვილი არ არის მისთვის გადააწერიოს ბავშებს წიგნიდან ან დაფიდან რომელიმე მოთხრობის ნაწყვეტი?

დააინტერესეთ ბავშები თვითმოქმედების გამოჩენაზე, შეაჩვიეთ თემებზე წერას (რა თქმა უნდა ქართულად) და დაინახავთ, როგორი ნაყოფი გამოიტანოს,—როგორი ბავშური, რაკრაკა ენით მოგითხრობენ ისინი სხვადასხვა მოვლენას, როგორი თავისებური, ბავშური ფანტაზიით შეამკობენ მას. მაგრამ ყველა ეს მეტი ბარგია ჩვენთვის, წერას ვაცლით მის მამოძრავებელ, მაცოცხლებელ სულს, დაგვრჩება მარტო ჩონჩხი, რომელიც სრულებით არ იზიდავს ბავშს, პირიქით, კიდეც აძულებს წერას.

პირველ დაწყებითი სწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ბავშების აღზდაზე უნდა იყოს მიპყრობილი, მათ სულიერ გასპეტაკებაზე, ცუდ ჩვეულებათა ამოთხვრაზე. ყველა ამისთვის-კი საჭიროა ბავშთა და მასწავლებელთა შორის მჭიდრო კავშირის გაბმა. ბავშს არ უნდა ეშინოდეს—თავისი სულიერი მდგომარეობა გადაუშალოს მასწავლებელს. მასწავლებელი უნდა იყოს ერთადერთი მისი მესაიდუმლე, ბავშს არ უნდა აშინებდეს მასწავლებლის სახელი. შიში განდევნილი უნდა იყოს სწავლა-აღზდიდან. მასწავლებელი აქაც ვერ ასრულებს პირნათლად თავის დანიშნულებას. საკმარისად მიგვაჩნია მხოლოდ გაკვეთილებზე ვებაასოთ ზნეობაზე, რომელიც ბავშებისთვის კი არა ჩვენთვისაც განუსაზღვრელი შემეცნებაა. უფრო სასარგებლო შემთხვევებს-კი ხელიდან ვუშვებთ. მოსვენების, თამაშის დროს ჩვენ თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ ბავშებს და ასეთი შემთხვევები კი მრავალ მასალას მოგვცემდა ჩაგვეხედა ბავშების სულსა და გულში, შეგვესწავლა ის და ამ შესწავლას ხომ პირველი ადგილი უჭირავს სწავლა-აღზდის საქმეში. გაკვეთილებზე ხშირ-ხშირათ საათში ვიყურებით და წუთებით ვითვლით გაკვეთილის გათავებას. ხშირათ ზარის ხმა სანატრელად გვიხდება.

როგორ ატარებს მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგს დროს?

უშინაარსო ლაპარაკში, სეირნობაში, ქუჩების ტკეპნაში, ნარდ-კარტობაში და მეტ არაფერში. პირადი დაკვირვებანი და გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული ფაქტები ამ აზრს ნათელ-ყოფენ. გაზეთი მათთვის არ არსებობს, ხალხის ჭირ-ვარამს ყურადღების ღირსადაც არს ხდიან.

რა მასწავლებელია ის მასწავლებელი, რომელიც თვეში ერთ წიგნს მაინც არ წაიკითხავს, და მთელ ღამეებს კამათლების ჩხარა-ჩხურში და „ფრაპის“ ძახილში ატარებს!

მასწავლებელი მებრძოლი უნდა იყოს და არა მონა! ის ხელს უნდა უწყობდეს ხალხის ეროვნულ აღორძინებას, ხალხში მიძინებულ ეროვნულ გრძნობების გაღვიძებას. ეროვნული საუნჯის დაცვა ჩვენთვის აუცილებელ—უსაჭიროეს საკითხად მიჩნეული უნდა იყოს. ჩვენ თვითონ ვღალატობთ სამშობლო ენას და ეს მხოლება მართალია. განა გავდივართ შკოლებში ქართულ ენას რიგიანად? იციან ჩვენმა ბავშებმა სამშობლო ისტორია, გეოგრაფია?

ჰიას რომ ფეხი დაადგა ისიც განთავისუფლების ლამობს და ათასნაირად იგრიხება. ჩვენ კი კლასებში ვუვარდებით ბატონებს უსიტყვოთ!

რას წარმოადგენდა წლევანდელი სამოსწავლო კურსები ქ. ბათომში? შემზარავ სურათს. განა ეს კურსები მასწავლებელთა მონობის მომასწავებელი არ იყო? ითქვა იქ რამე დასაბუთებული მასწავ ბელთა მხრით (გარდა ორი-სამი კაცის როდესაც შევეხეთ 1881 წლის გა ანდა შესახებ სამშობლო ენის დახმა ბისა რუსული გაკვეთილების დროს, კიდევ ქართული და რუსული წ (ირიბი და პირდაპირი ხელი) შესახებ?

გვეგონებოდათ ენა დაებათ და სიტყ ვერ ახერხებენო. ასეთი დუმილი აკვირ და თვით ინსპეკტორსა და მის თანამ ზრეებსაც. ხშირად გაიგონებდით: „К мало говорятъ“-ო.

ვერ ვამართლებ მასწავლებლებს!

ხალხის თქმისა არ იყოს: ავდარში და გაინძრე, თვარა დარში ჰიანქველ გამოფორთხდებაო“, უფრო საჭიროა ჩ პიროვნების დაცვა, ჩვენი სახის, უფ ბის შერჩენა.

ნუ ვკარგავთ ძვირფას დროს ტყუ ხეტიალში, შევიგნოთ ჩვენი თავი, სა გონებით შევხედოთ საჭირბოროტო კ ხვებს, ვემოთ მოურიდებლათ უსამარ ლობა, ვემსახუროთ პირნათლად ხალ რომლისთვისაც ჩვენ ვართ მოწოდებ ლი.

გვეყო ძილი, საჭიროა გამოფხიზლ დეე, კვლავ გაისმას მასწავლებე უმგვანო საქციელის მხილება, რათა ლი შევუწყოთ მათ თვით გამორკვე და სასურველ ნიადაგზე დაყენებას.

მ. რ—ვია.

# დღიური.

იტალიამ ფლოტის გასაძლიერებლათ წინაწარი მუშაობა დაიწყო.

— ლვოვში მოწაფეს ძეგალოვს მასწავლებლის მოკვლისთვის სასამართლომ 14 წლის ციხე მიუსაჯა.

— გააგში 800 ქალმა ქალთათვის საარჩევნო უფლების მანიჭების თაობაზე დემონსტრაცია გამართა.

— ავსტრიაში ხოლერა ვრცელდება.

— მოსკოვში მუშათა გაზეთის „ჩვე გზის“ ნუმერი დააკავეს.

— [illegible] დამუშავება სახაზინოთ მოაწყოს, [illegible] 13—14 მილიონი მანე დაიდება.

— კიევში მეფუტკრეთა კრებამ და გინა მეფუტკრეობის შესახებ სპეციალ რი კანონი გამოიცეს.

# ახალი ამბავი.

ქალაქის საბჭოს ხმოსანს აქიმ გ. ბ რიძეს გაცნეადება შეუტანია ქალა გამგეობაში შესახებ იმისა რომ ის თ ხმაა უსასყიდლოთ იკისროს აქიმის

# „ერთათ-ერთი ხარკი“.

ჰენრი ჯორჯის და გ. ჰაინდმანის.

თარგმანი.

1899 წლის 2 მკათათვეს ლონდონის „სენტ-ჯემსის“ დარბაზში ჰენრი ჯორჯსა და გ. ჰაინდმანს შორის კამათი იყო დანიშნული შემდეგ თემაზე: „რომელი უფრო დიდ ბედნიერებას მიანიჭებს ხალხს: „ერთათ-ერთი ხარკი“ თუ სოციალიზმი?“ თავჯდომარეობდა პროფესორი ე. ს. ბისლი.

თავჯდომარე: ბატონებო, რათა დარბაზში სრული წესიერება იქნეს დაცული, მოვალეთ ვთვლი ჩემ თავს წინდაწინვე გაუწყოთ ორივე მხრის მიღებული პირობები: კამათის თემაა „ერთათ-ერთი ხარკის“ დოქტრინა, რომელსაც ბ. ჰენრი ჯორჯი იცავს· ამიტომ გადაწყვეტილია, რომ უკანასკნელმა განმარტოს თავისი დოქტრინა, რისთვისაც მას ათი წუთის დრო ეძლევა. ნახევარი საათის განმავლობაში მას უპასუხებს ბ. ჰაინდმანი; შემდეგ ბ. ჰენრი ჯორჯს ეძლევა საპასუხოთ ოცი წუთის დრო, რომ ამ სახით მანაც ისარგებლოს ნახევარი საათით. დანარჩენი შემდეგნაირათ იქნება განაწილებული: თვითოეული მოკამათე ილაპარაკებს პირველათ ოცს და შემდეგ ათ წუთს; უკანასკნელი სიტყვა კი ბ. ჰენრი ჯორჯს ეკუთვნის. კამათი გასტანს ორ საათს. ძლიერ კარგათ მესმის, რომ სრულიათ უადგილო იქნებოდა ჩემი მხრით თქვენი ყურადღება მიმეპყრო, რადგან ბ.ბ. მოკამათეთა მოსასმენათ მობრძანებულხართ თქვენ. ამ დარბაზში მომხდარ კრებებზე ჩვეულებრივ უკვე ჩამოყალიბებული შეხედულების ადამიანს ირჩევენ, რომელისაგანაც ვიწრო პარტიულ სიტყვას მოელიან, მაგრამ ჩვენ ამისათვის არ მოვსულვართ აქ. ჩვენ მოვედით კამათის მოსასმენათ, რომლის შესახებ კრებას არავითარი რეზოლიუციის გამოტანის უფლება არა აქვს. აგრეთვე უადგილო იქნებოდა, რომ ჩემი პარტიული შეხედულებით რომელიმე მხარე დამეცვა. ვეცდები ჩემი თანამდებობა პატიოსნათ და მიუდგომლათ შევასრულო და ეჭვი არ მეპარება, რომ თვით მსმენელნიც დამეხმარებიან ამაში. (კმაყოფილებისა და მოწონების ხმები). რასაკვირველია, მრავალი მოიძებნება ჩვენ შორის, როგორც ბ. ჯორჯის, ისევ ბ. ჰაიდმანის მიმდევარი. მაგრამ ისეთებიც იქნებიან, რომელთაც არა აქვთ ჯერ გარკვეული შეხედულება და ახლა უნდათ გაეცნონ საკითხს. მე არ შემიძლია შევაჩერო ვისიმე გრძნობები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ, თუ ორივე მოწინაღმდეგე ჯგუფები მოინდომებენ რაშიმე გადააჭარბონ ერთმანეთს, ყოვიდ შემთხვევაში, ყვირილით და ხმაურობით არ გამოხატავენ თავის კმაყოფილებას ან წინაღმდეგს არც საჭიროა უბრალო დაჟინება, რომ მხარი დაუჭირონ რომელიმე მოკამათეს, რადგან აშკარაა, რომ, თუ ასეთ შემთხვევას ექნა აქ ადგილი, მე, როგორც თავჯდომარეს, უფრო გამიძნელდება წეს-რიგის დაცვა (კმაყოფილების ნიშნები). ბატონებო, თქვენს წინაშე წარმოსდგებაოდი შესანიშნავი ნიჭის პატრონი, რომელთაც მშვენივრათ აქვთ შესწავლილი საკამათო საგანი. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ძლიერ საყურადღებო კამათი. როგორც თქვენ, ისე მეც მოუთმენლათ ველი და, ამიტომ სიტყვის გაუგრძელებლათ ვსთხოვ ბ. ჯორჯს დაიწყოს რეფერატი.

ბ. ჰენრი ჯორჯი: ორივე მხარე ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა უსამართლოცა და არა ნორმალურიც. ჩვენ კიდევ ვეთანხმებით ერთმანეთს იმაში, რომ ჩვენი მიზანია ისე შეიცვალოს მდგომარეობა, რომ ყველას მიეცეს შეძლება იშრომოს და დასტკბეს ცხოვრებით, ყველასა ქონდეს არსებობისათვის აუცილებელი საგნები, ყველას შეეძლოს გონიერი ფუფუნებით ცხოვრება. ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს მხოლოდ საშვალების ამორჩევაში, რომლის მეოხებითაც უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზანს. ბ. ჰაინდმანი სოციალ-დემოკრატს უწოდებს თავისთავს,—მე კი „ერთათ-ერთ ხარკის“ მცნებას ვაღიარებ. თუ თვალს გადავავლებთ თანამედროვე კულტურულ ქვეყნებს, დავინახავთ, რომ არსად არ იღებს შრომა თავის სამართლიან ნაწილს (კმაყოფილების ნიშნები). ყველგან ვამჩნევთ ისეთ მოვლენას, რომელსაც ზედმეტი საქონლის დამზადება და ამის გამო მრეწველობის შეფერხება ეწოდება. როგორც ზერელეს, ჩვენ უარვყოფთ ისეთ თეორიებს, რომელნიც ამგვარ მოვლენას მცხოვრებთა სიმრავლით, სამუშაოს სიმცირითა და მანქანათა გავრცელებით ხსნიან, რის შემწეობითაც შრომა ნაყოფიერდება. ჩვენ ვამბობთ, რომ სანამ კაცობრიობის მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილებულან, მანამდი არ შეიძლება ითქვას ზედმეტი საქონელია დამზადებულიო (ტაშისკვრა), რომ სანამ ყველას არ ექნება არსებობისთვის საჭირო საშვალებანი, მანამ ძლიერ ბევრია სამუშაო (კმაყოფილების ნიშნები). და ყველა ასეთი არანორმალური მოვლენის მიზეზი ჩვენ შეგვიძლია უსამართლობაში ვეძიოთ ბხოლოდ. ვკითხოთ ჩვენ თავს, რა არის სამუშაო და შევნიშნავთ, რომ, რასაც ჩვენ მაწარმოებელ სამუშაოს ვუწოდებთ, ეს არის ბუნების ანუ მიწის ნედლი მასალის ფორმის შეცვლა. ადამიანია დედამიწის ცხოველი; მისი სხეულიც მიწიდან წარმოსდგება; ყველა მისი ნაწარმოები მიწის დამუშავებას წარმოადგენს; მაშასადამე, ყველაზე აუცილებელ საჭიროებას მისთვის მიწა შეადგენს. ყველგან ვამჩნევთ, რომ ეს ყველასთვის უსაჭიროესი საგანი რამდენიმე განსაზღვრული ჯგუფის საკუთრება გამხდარა (კმაყოფილების ნიშნები). სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ ყოველ ბოროტებათა დასაწყისი. და თუ ვისმე სურს გათავისუფლდეს ამ ბოროტებისგან, ჯერ მისი ფესვები უნ და მოსპოს (ტაშისცემა). ცხადია ყველას თანასწორი უფლება უნდა ქონდეს ისარგებლოს ბუნებით, ყველა ჩვენთაგანმა უნდა ისარგებლოს მიწით. მაშ როგორ უნდა აღვადგინოთ ჩვენი უფლება? რასაკვირველია, არა მიწის თანასწორათ დაყოფით: თანამედროვე ცივილიზაციის საფეხურზე ეს ყოვლად შეუძლებელია. ასეთი გზით ჩვენ ვერც განვახორციელებთ და უზრუნველვყოფთ თავისუფლებასა და თანასწორობას. იდეალურ საშვალებათ, საშვალებათ, რომელსაც კი მიმართავდენ ხალხის გულშემატკივარნი, რომ მოენდომებიათ თანასწორობის განხორციელება, ის იქნებოდა, რომ საზოგადოების საკუთრებათ გამოაცხადებდენ მიწას, კერძო პიროვნებას კი შეეძლებოდა ესარგებლა მიწით, მხოლოდ თვით იმავე საზოგადოების სასარგებლოთ გადიხდიდა განსაზღვრულ რენტას. იდეალური გეგმის წყალობით ყველას უნდა მიეცეს მიწით სარგებლობის საშვალება, ვინც კი ასეთ სურვილს განაცხადებს და მის საკუთრებათ ითვლებოდეს მანამდე, სანამ სხვა რომელიმე არ განაცხადებს ასეთსავე სურვილს. და თუ რომელიმე მიწის ნაჭრის განსაკუთრებული ხარისხის გამო, რამდენიმე პირმა მოინდომა ამ ნაჭრით სარგებლობა, ამგვარ შემთხვევაში უნდა არსებობდეს კიდეც განსაკუთრებული რენტა, რომელიც საზოგადოების საერთო საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოხმარდება (კმაყოფილების ნიშნები). შეიძლება ვერ შეთანხმდენ ამ ნიადაგზე და მოითხოვონ მიწის ღირებულებასთან ერთად ყოველწლიურათ იცვლებოდეს რენტაც ან განსაზღვრულ ვადაში რენტა უცვლელი იყოს. პირადათ მე, უფრო მარტივი სისტემის მომხრე ვიქნებოდი, რომ ყოველწლიურათ შეფასებულიყო მიწა. და როდესაც ეს განხორციელდება, როდესაც იჯარით გაიცემა მიწა და მოიჯარადრენი გადუხდიან საზოგადოებას, ასე ვსთქვათ, დიფერენციალურ რენტას, მაშინ უკანასკნელი არსებითად ხარკს უდრის და ამიტომ ჩვენც „ხარკს“ ვუწოდებთ მას. „რაც გინდა ის უწოდე ვარდს, მაინც დაგატკბობს თავის სამო სურნელებით“. დიდ უპირატესობას აძლევენ რენტის ხარკის სახელწოდებით შეცვლას იმ ქვეყანაში, რომელსაც ისტორიული წარსული აქვს. იმ ქვეყანაში ხალხი მიჩვეულია ხარკის გადახდას, მხოლოდ ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ საზოგადოების ფორმალურ საკუთრებათაა აღიარებული მიწა, რომელიც შეიძლება გაიცეს იჯარით, როგორც ზევითაა ნა ნები. ამიტომ ვაღიარებთ ჩვენი მიზ მისაღწევათ მიწის იჯარით გაცემას, საც ხარკი ექნება დადებული (კმაყო ლების ნიშნები). თუ არჩევანზე წავი და საქმე, ჩვენი შეხედულებით, მთა და საუკეთესო საშვალებათ ვსცნობ ყოველგვარ ხარკის გაუქმებას, რომე ასე თუ ისე მეტ ბარგათ აწევს წარმ ბას, სულს უხუთავს მრეწველობას იმ საგნებს აძვირებს, რომელნიც ხალ აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ისეც მოიხმარს, რომ სხვას არ მოუ ნოს ზიანი. იმ მოსაზრებით, რომ ყვე სხვა ხარკების გაუქმებას ვითხოვთ, მას ვუწოდებთ „ერთათ—ერთ ხარ (კმაყოფილების ნიშნები). ჩვენი სურ ლია გაუქმდეს ყველა სხვა დარგის მ წველობაზე დადებული ბაჟი, ამ რიგ საზოგადოების შემოსავალმა იმატოს ყველა ჩამოვლილ საშვალებათა მეოხებ ჩვენ უკანასკნელ მიზანს მივუახლოვ —მთელი მიწის რენტა საზოგადო საჭიროებას ხმარდებოდეს. სახელწოდ „ერთათ-ერთი ხარკი“ საშვალებას მოხატავს, რომლითაც უნდა მივაღწ ჩვენ მიზანს. ნამდვილათ კი ჩვენ თა სუფლებას ვქადაგებთ. ჩვენ ისე გვინ მოვაწყოთ ცხოვრება, რომ საზოგადო ყოველ ინდივიდს შეეძლოს მოქმედ როგორც მას მოესურვება, რასაკვირ ლია სხვისი თავისუფლების შეუზღუ ლათ (ტაში). ჩვენ ვითხოვთ გაუქმ ყოველგვარი ხარკი და ჩვენი მიზ სისრულეში მოსაყვანათ მთავარი მონ პოლიიდან ვიწყებთ,·ყველა და რჩენის დედაძარღვიდან, რომელიც ცირესთა ნაწილს ხელში უდებს რაც ყველას ესაჭიროება. და ჩვენ ის არა გვრწამს, ასეთი საბრალოა შრ და არ ყავს მფარველი, რომ იგი სა როებს მთავრობის აპეკუნობას, არამ ის, რომ შრომა მთელი სიმდიდრის შ ქმნელია (ტაში), რომ ის, რასაც საჭიროებს, ეს—კერძოობითი ლტოლ კი არა, აშკარა, თავისუფალი ასპა ზია. ამიტომ იმ დოქტრინების წინაღმდ განსაზღვრასა და მფარველობას ქადა ბენ, ჩვენ თავისუფლებისა და თანას წორობის დროშას აღვმართავთ აშკა შეუზღუდველ მეტოქეობის საფუძვ (ტაში).

(გაგძელება იქნება).

...ობა ქალაქის საქალებო სასწავლე...ში. აქ. ბადრიძის მოქმედება მისაბაძი ...ითია.

✦ ...დაქარებით იბეჭდება სილოვ. ხუნ... იაფფასიანი გრამატიკა პირველდაწ...თი შკოლებისათვის (მეორე გამოცე...ა 20 სეკტემბრისათვის გასაყიდათ ...ვა.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა და...ის ქალაქში გასაკრავათ სავალდებუ... დადგენილება სავაჭრო დაწესებუ...ბში, კანტორებსა და საწყობებში ...სახურე პირთათვის ნორმალური ...ების უზრუნველყოფის შესახებ.

✦ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერ...ბალმა მოსამსახურეებს დეპუტატ...ვანს წერილი გაუგზავნეს, რომელ... დაწვრილებითაა აღნიშნულია წვრილ ...სახურეთა უმწეო მდგომარეობა. ...სახურენი დეპუტ. სწერენ:—„მოგმა...თ, როგორც მშრომელი ხალხის ...მადგენელსა და მისი ინტერესების ...ველს აღძრათ შუამდგომლობა სა...ჯერ არს, რომ ყურადღება ექნეს ...ული შემდეგ ჩვენს მოთხოვნილე...: 1) სამსახურში ვითვლებოდეთ წლი...წლამდი და მთელი წლის ქირა გვე...დეს თვეობით საზაფხულო თვეების ...ულებლათ, 2) ჯამაგირების მომა..., 3) ავათმყოფობისა ან რაიმე უბე...ბის დროს დახმარება და 4) უმიზე...ნურავის დაითხოვენ.

✦ თფილისში ტრამვაის მოსამსახუ... გაფიცვა არ შეწყვეტილა. რამდე... მოსამსახურე დააპატიმრეს, რომე...ც გაფიცულია წაქეზება ბრალდება.

✦ კავკასიის არქეოგრაფიული კომი...შესანახათ ხაზინა ყოველ წელს 10 ... განმავლობაში 1913 წლიდან ...90 მანეთს გადასდებს.

✦ კიევის ჰაერში მფრინავი რაზმის ...ერს პორუჩიკ აბაშიძეს ნებადარ... აეროპლანით კიევიდან თფილისს ...ფრინდეს.

✦ პარასკევს, 13 სეკტემბერს, საღა... $8^1/_2$ საათზე ქალაქის თეატრში ...იშვილი წაიკითხავს საჯარო ლექ... ,,სიცოცხლის ღირებულება''.

✦ ყაფანზე და მეწვანილეებში ვიღაც ...ჭებს დააქვთ თუთბრის ბეჭდები და ...ხალხზე ოქროთ ასაღებენ. საჭი... ამ გარემოებას ყურადღება მიაქ...ვისიც ჯერ არს.

✦ სამი დღით შეჩერებას შემდეგ ხუთ...ს, 5 სეკტემბერს გამოვიდა გაზეთი ...казье“.

✦ ზესტაფონიდან შემდეგს იწერები...„ხუშაბათს, 4 სეკტემბერს, საღამოს ...ათზე დ. ზესტაფონში საზარელი ... დატრიალდა. მცხოვრებთა უმე...ბას ეძინა, როცა ყანჩაველის დუ... ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი პირვე...თივას მოედვა და აქედან ცეცხლი ...იდა მახლობელ დუქნებზე. გადა... 11 დუქანი: ყანჩაველის, ებრაე...ს, ცერცვაძის, მანჯავიძის, ჩინჩა...ს, ს. ბუიძის, მაჭავარიანის, ა. ბუა...ნ. ბუაძისა და ბარბაქაძის. დაიმტვ...ა განადგურდა 10 დუქანი. არც ... არ ყოფილა დაზღვეული.

✦ ბათომში ქართული დრამატიული ...ადოების სეზონი 14 სეკტემბერს ...ება პიესა „ღალატით“.

„ნოვოე ვრემიაში“ მენშიკოვის წე...ა მოთავსებული, სადაც ავტორი ... მოადგილის უქვეშევრდომილეს ...ნებას მკაცრათ ეხება.

✦ „იმერეთის“ მე 136 №-ში „მარტო ...ლები“-ს ფსევდონიმო. ,,დ. მ''. შეც...თ არის დაბეჭდილი, უნდა იყოს—...მამათელი“.

## ...ყლის საკითხი სხვაგან და ჩვენში

...ვალ სხვა და სხვა საკითხებთან ერ...რომელიც შემუშავდა სამეურნეო ...ერების მიერ ამ უკანასკნელ საუ...ში, ირიცხება საკითხი ირგაციისა. ...უფრო საინტერესოა ეს საკითხი, ...მეტათ რწმუნდება კაცობრიობა ...ს მნიშვნელობაში მცენარის განვი...ბაზე.—

...მცენარე სწოვს მიწიდან უზომო ...ს და, რასაკვირველია, თვითონაც ...ეკარგება ჰერის სიმხურვალის გა...თ, მაგრამ პირველ შეხედვაზე ცი...ეს ყოვლათ დაუჯერებელი გვგო...: მაგ.—ბალახეული მცენარე ართ...ნიადაგს 250 ლიტრ წყალს იმ ... განმავლობაში, სანამ მცენარეს მიემატებოდეს ორ-გირვანქა-ნახევარი თავის შემადგენლობის მშრალი ნივთიერება. აქედან აშკარათ ვხედავთ თუ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წყალი მცენარესთვის, მით უფრო რომ სწორეთ იმავე დროს მცენარის ფესვების დახმარებით ხდება ფრიად საინტერესო და დიდი პროცესი, რადგან იგი ამ უკანასკნელთა შემწეობით იმზადებს საზდოს, სხვადასხვა წყალში გახსნილ მინერალებისაგან.

მეორეს მხრით, არა ზომაზე გადაცილებული წყალი კიდევ უფრო საჭიროა რომ დაეხმაროს ნიადაგის მიკრო-ორგანიზმებს სხვა და სხვა ნივთიერებათა მცენარის საზრდოთ გარდაქმნაში.

ამნაირათ, თუ რომ ნიადაგს წყალი აკლია, ყოვლად შეუძლებელი ხდება ამ მომქმედთა ნაყოფიერი მუშაობა, რადგან აზოტიან ნივთიერებათა აღარ ეძლევათ ნება განიტრებისა და მცენარეც ვეღარ შოულობს ელემენტებს აუცილებელ მის გაძლიერებისთვის.

— თუ ნიადაგი თვით ნოყიერია და ამასთანავე ზემოხსენებული პირობებიც ხელს უწყობს, მით უფრო ნაყოფიერია თვით მიკრო ორგანიზმების მოქმედებაც მაშასადამე წყლით ღარიბ ნიადაგს თუ ხელოვნურათ არ მოვრწყავთ, ის ყოვლმხრივათ განვითარებულ მცენარეს ვერ წარმოშობს.—

ყოველს განათლებულ ქვეყანაში, სადაც კი მეურნეობას თავისი შესაფერი ადგილი უჭირავს, ხელოვნურათ მიწების მორწყვას დიდ მნიშვნელობას აძლევენ ასეთი სახელმწიფოებია მაგ. საფრანგეთი, ბელგია, შეერთებული შტატები და სხვა მრ. ავიღოთ მაგ. საფრანგეთი და მოკლეთ ჩამოვთვალოთ მისი წინსვლა ამ დარგში 1892 წ. ანკეტა გვეუბნება, რომ საფრანგეთში მაშინ ყოფილა სულ 1,308,000 ჰეტარი მორწყული მიწა დღეს კი აღემატება 1,4000,000 ჰექტარსა.

მას ყველა ხელს უწყობს როგორც სიტყვით ისე საქმითაც. მაგ.—ერთი მეურნე ასე ეხება ირიგაციას: „მორწყვა საფრანგეთის ნიადაგისა—ეს არის დიდი საქმის შესრულება, რომელიც შეიქმს მეოცე საუკუნის სიამაყეს და დაგვარწმუნებს მეურნეობის კეთილდღეობაში, რადგან წყალი არის პირველი პირობა ნოყიერებისა“.—

ასეთივეა თვით საერთო აზრი ავტორიტეტიან მეცნიერთა და გამოცდილ მეურნეთა.

უკანასკნელი ანკეტა მორწყულ მიწებისა გვიჩვენებს, რომ თითო ჰეკტარ მორწყულ მიწაზე მოსულა საშვალოთ 46 ჰეკტოლიტრი ესე იგი 3,680 კილოგრამში ხორბალი, ამასთანავე მორწყვა უწარმოებიათ შემდეგი რიგით: პირველათ მიუშვიათ წყალი დაუთესელ მიწებზე, შემდეგ ოკტომბერში კი დაუთესიათ მეორეთ მოურწყავთ აპრილში, როდესაც საშვალო ჰაერის ტემპერატურას აუწევია 12°, მესამეთ კი, როდესაც ჯეჯილი იმდენათ დამთავრებულა, რომ ყვავილობა დაუწყია. და მეოთხეთ რამდენიმე დღეს შემდეგ.

მორწყვა უხდება ყოველგვარ მიწას, რომელიც ღრმათ არის მოხნული, ესე იგი შეუძლია წყალი მოაკაოს ცოტა ღრმათ და არა თვით პურეულ მცენარის ფესვებთან, რომელიც უფრო ნიადაგის ზედაპირზე არის დამაგრებული.—

ირიგაცია თვით საფრანგეთშიც არ სწარმოებს შესაფერათ, რადგან თითქმის არცერთი დიდი არხი არაა გადმოყვანილი ისეთ მდინარეთაგან, როგორიც არის მაგ. რონა სენაჟიროდა და ლუარა. ეს მდინარეები ერთ ლიტრა წყალსაც არ იძლევიან ჯერ-ჯერობით. ამიტომაც მორწყვა ბევრგან დიდ სიძნელეს წარმოადგენს.—

სამაგიეროთ, სადაც წყალი თავისუფალ სახმარებლათ მოეპოებათ და არხებიც ხელს უწყობს, აქ არა ჩვეულებრივი მოვლენა ხდება: მაგ.—წყლის საშვალებით „Carpentrs“-ას გარშემო მდებარე სოფლების მთელ სამეურნეო სიმდიდრეს შეადგენს ხენდრო. ეს მოხდა დაახლოვებით სულ 12 წლის განმავლობაში და დღეს იმდენი ხენდრო მოჰყავთ რომ მას არა თუ საფრანგეთის ბაზარი არამედ ინგლისისაც ვერ აუდის.

ეს მიწები უწინ თითქმის გამოუდეგარი იყო და მათი ფასი ჰეკტარზედ არ აღემატებოდა 250 ფრანკს (დაახლ. 95 მანეთს) დღეს, ირიგაციის დახმარებით აქაურმა მიწის ფასმა აიწია 7,000 ფრანკამდი, მაგრამ გასასყიდლათ უკვე აღარ ვინ იმეტებს, რადგან წყალობამ სრულებით გარდაქმნა ნიადაგი. თითო ჰეკტარზე მოყავთ არა ნაკლებ 10,000 კილოგრამი ხენდროსა. ასი კილოგრამში ხენდრო რომ 40 ფრაკათ გაყიდოს და ამასთანავე მის მოყვანისთვის გაწეული ყოველგვარი ხარჯი გამორიცხოს, თითო ჰეკტარს შემოაქვს წმიდა შემოსავალი 3,000 ფრანკი.

აქ საერთოდ ირიგაციის მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სინდიკატურ დაწესებულებებს. 1865 წელში მოქმედობდა სულ 692 სინდიკატი, რომელნიც ექვემდებარებოდენ ძველ რეჟიმს, ამავე წლის ახალ კანონს შემდეგ კი ეს ციფრი გაიზარდა 782-მდი საერთოდ სხვადასხვა ჯგუფები, რომელთა ქონიათ მიზნათ დასახული საირიგაციო საკითხებზე მუშაობა, არ აღემატებოდენ მაშინ 1,474.

ამ უკანასკნელს უნდა მიუმატოთ კიდევ 37 სხვადასხვა საზოგადოება და კიდევ 2,403 სულ სხვა ასოციაციისა, რომელიც არ შედის არცერთ ზემოხსენებულ კატეგორიაში და არც ოფიციალურ დოკუმენტებშია მოხსენებული.

აქედან აშკარათ ვხედავთ, რომ სხვა მრავალ, ცხოვრების გასაუმჯობესებელ საკითხებთან ერთად, დღეს წყლის საკითხსაც უჭირავს ის ყოვლათ დამსახურებული და საყურადღებო ადგილი.

ამერიკამ ხომ არაჩვეულებრივი სასწაულები მოახდინა, საუბედუროთ მე არ შემიძლია იქაურ სარწყავ მიწებზე უტყუარი ცნობები მოგაწოდოთ, მაგრამ ეს ცხადია, რომ იქ, მიუხედავათ ტერიტორიის სიდიდის, შედარებითაც, ბევრით არიან გასწრებული ევროპიელებზე, მართალია დიდი განსხვავებაა ქუჟუნა წვიმასა და ხელოვნურათ მიწის მორწყვის შორის, მაგრამ თუ რომ მხედველობაში მივიღებთ მცენარეულობისთვის წყლის აუცილებლობას და ამავე დროს იმასაც, რომ ხანდახან წვიმა თვეობითაც აღარ ეღირსება ხოლმე ჩვენ ყანებს, ყოველს შემთხვევაში ვამჯობინებთ მიწების ხელოვნურათ მორწყვას, რადგან იგი უკანასკნელი საშვალებაა, რომელსაც შეუძლია გვიხსნას იმ აუტანელ განსაცდელისგან და რომელიც მოყვება ხოლმე შედეგათ ჩვენს გვალვისგან განადგურებულს მოსავალს. გვალვები აქეთ დღეს მოსავლის დაუმარცხებელ მტრად აღარ ითვლება. მათი მოვლენა ისე საგრძნობელი თითქმის აღარ არის, რადგან არხების და სხვა ახალ ტეხნიკური საშვალებებით წყალი მთა გორიან ადგილებზედაც კი გაიყვანეს და მალე მოვა ის დროც, როცა განათლებულ ერებს ჰეკტარი მიწაც აღარ დარჩებათ, რომ უკანასკნელს მორწყვა ესაჭიროებოდეს და ადამიანმა ყოვლად ხელი არ შეუწყოს.

არა ერთჯერ წაგვიკითხავს ჩვენს გაზეთებში წერილები საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან მის შესახებ თუ რა მრისხანეთ მოევლინა ხოლმე ჩვენს ყანებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს ან ბოსტნობას ეს ყოვლათ შეუწყნარებელი და ასე ხშირი სტუმარი—გვალვა. შეიძლება ბევრს ამ სტრიქონების წამკითხველს არც კი ქონდეს სრული წარმოდგენა, თუ რა საშინელ სურათს წარმოადგენს კერძოთ გვალვამოვლენილი ყანები, რა საზარელი რამ არის ეს ყოვლად უსიცოცხლოთ ახრუკულ-არუჯული მიდამოები, რომელთა გუშინდელი მწვანე სიცოცხლის მომაგონებელი ტანთსაცმელი დღეს მხურვალე მზის სხივების და ცხელ ქართა სათარეშოთ გადაქცეულა!

სად არის ის სასიამოვნო მწვანე ფერი რომელიც გუშინ მუშაკს დიდ იმედებს უსახავდა, რას მოუტაცია იგი, ნუთუ ამდენი განმანადგურებელი ძალა აქვს დიდი ხნის უწვიმობის, შემდეგ თუნდ რამდენიმე დღის ქარ-სიცხეს?

მკითხველო, შეიძლება, შენ ეს კიდეც გაგიკვირდეს, მაგრამ ჩვენი სოფლისთვის არა თუ გასაკვირველია, არამედ ყოვლად ცნობილი და შეუბრალებელია გვალვა.—არ ვურჩევ არცერთ გულშემცოდავს ადამიანს—გადახედოს ჩვენი ქვეყნის იმ მიდამოებს, სადაც განსაკუთრებით უფრო ნადგურდება გვალვას შემდეგ ყანები.

როგორც მაგალითად—ზემო იმერეთის დასავლეთით, მდ. ყვირილას პირებზე მდებარე ნაწილია. ეს მოვლენა იქ მით უფრო ეჩნევა, რადგან ნიადაგი მეტ-სილანარევია, რასაც წყალი მსწრაფულ და თავისუფლათ გაყავს ორი დღის სიცხე საკმარისია, რომ მიწის ზედაპირი ისევ გახმეს.

ასეთ სურათს წარმოადგენ დღეს მდინარე ყვირილის მიდამოებში მდებარე ყანები, ზესტაფონიდამ მოკიდებული თვით აჯამეთ-რიონის სადგურებამდი. ამ მიწებს ემხრობა იმისთანა სოფლებიც, რომელთა საყანეები უმეტესად აქ იმყოფება, რადგან ზეგანის მიწას სიმწრისთვის ვერ აცდენენ. ასეა მაგ. სოფელი სვირი. სვირელი ისე გაიყურებოდა „ხოხულისკენ“ (ასე ეძახიან ამ საყანესაც), როგორც ძველი ელინი ოლიმპისაკენ.— მართალია, გვალვა სიმიდისა და პურის ყანებს ბევრათ უფრო ავნებს ვიდრე ვენახებს, მაგრამ თუ ეს გვალვა ამ უკანასკნელს ადრე დაესწრო,—მარცვალს გააცვენს, გამოხალავსო—როგორც იტყვიან ზემო-იმერლები, და ზარალი მაინც დიდი მოაქვს.

არა უკეთეს მდგომარეობაშია დღეს მთელი ქვემო იმერეთი, სადაც მცხოვრებნი უმთავრესად სიმიდი მოყავთ და, აბა იფიქრეთ, რა იქნება ამ მხრის მდგომარეობა, თუ რომ უკანასკნელი საშვალებაც დაეკარგებათ. მართალია, სოფელს შიმშილობა მოელის, მაგრამ ნუთუ გვონიათ რომ იგი წარმავალი იყოს!

ჩვენ ჯერ იმის თქმაც ეს შეგვიძლია რომ გაისათ ან და კიდევ იქით ეგევე არ გვეწვევა. მაშინ რომ უარეს მდგომარეობაში იქმნება ჩვენი ისედაც მრავალტანჯული სოფელი, და თვით ქალაქიც, რადგან შემჩნეულია რომ ყოველი სოფლის დანაკლისი თვით ქალაქებში მცხოვრებთ უხდებათ ხოლმე შემდეგ საგრძნობელათ. მით უფრო, რომ ჩვენი ღარიბი ქალაქების ნახევარი მცხოვრებნი ისევ სოფლიდან შემოტანილი სიმიდის ფქვილით იკვებებიან.—როგორც ვსთქვით ზევით, ამ განსაცდელისგან იხსნის ჯერ მცენარეს და შემდეგ ადამიანსაც ისევ წყალი და მისი ხეირიანი მოხმარება. ტყუილი იქნება ჩვენი სიტყვები, რომ ახლა გითხრათ—დავიწყოთ დიდი არხების გაყვანა-თქო, რადგან ჩვენ დღეს სრულიად საშვალება არ მოგვეპოვება, რომ ამისთანა საქმე დავიწყოთ, მაგრამ ამით მსურს მხოლოდ მოგაგონოთ, რომ ყოველს პირველს შემთხვევაში, როდესაც კი დაგვჭირდება რომელიმე საზოგადო საქმისთვის ან სიტყვით და ან დახმარებით შრომის გაწევა. უნდა გვქონდეს მხედველობაში უწინავეს ყოვლისა ირიგაციის საკითხიც. ვისთვის გვინდა ან ის დიდი მარნები და ან სხვა მრავალი სამეურნეო დაწესებულებანი, თუ რომ შიგ გარდასაქმნელი—გადასამუშავებელი საფერი მოგვეპოვება.

მართალია, ჩვენი ქვეყანა მთა-გორიანია და ზოგან წყლის გაყვანა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ბევრს შემთხვევაში იგივე ამაღლებული ადგილები და ჩვენი მდინარეების საზოგადო სწრაფი მსვლელობა კიდევ უფრო უწყობს ხელს მრავალი არხის გაყვანას ვიდრე დაბალ ჰაობიან ადგილებში მდებარე მდინარეები. მაგალითად—რა უშლის ხელს რიონის ან ყვირილის ჭალების მორწყვას? რომელ ქვეყანაში და რომელ მდინარეს გააჩნია უკეთესი წყლის გადმოსაყვან ადგილები?

დაახლოვებით ქუთაისიდან მოხდენილათ გადაყვანილი არხი მოგვცემს იმდენ წყალს რამდენსაც მთელი საფრანგეთის მდინარეებიც ვერ შესძლებენ.

მართალია, აქ მდინარის ნაპირი ისე დაბალი არ არის, რომ წყალი პირდაპირ გადავიდეს არხში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აქ რიონს ფონიც აქვს და მისი გადაყვან-გადმოყვანაც ადვილია შეიძლება, ცხადია, რომ საკმარისია მდინარე ცოტათ შევუბდეს და ნაპირები მისი მაგარმა კედლებმა დაიცვას გადახეთქისაგან, რომ მან საჭიროებაზე მეტი წყალიც მოგვცეს. ავიღოთ მეორე მდინარე, ყვირილა. ამ უკანასკნელის ისე უწყობს მდებარეობა ხელს, რომ ძვირათ შეიძლება მოეპოებოდეს რომელსამე მდინარეს უკეთესი გადასაყვანი ადგილები. მაგ. დაბა ზესტაფონიდან დაშორებით ნახევარი ვერსისა ისე ემხრობა მდინარის კალაპოტი მიდამოების სისწორეს, რომ თვით ისაა გასაკვირველი, რატომ მდინარემ აქეთ არ იცვალა მიმართულებათ. და ეს არ იქნება საყოფი, რომ დღეს ეს არიყული გადახრუკული საყანე ადგილები ჩინებულათ მოირწყას?. რა უნდა მოელინოს ამაზეც უმშვენიერესი ზემო იმერეთს?..,

ნიკ. ჯანაშია.

ზარიზი.

# მშრომელი ხალხი.

### რუსეთი.

**გუბერნატორის განკარგულება.** რიგაში გუბერნატორმა წინადადება მისცა გაზეთებს:—გაფიცვის შესახებ ცნობები არ მოათავსოთო. ეს განკარგულება ეხება როგორც უკვე დაწყებულ გაფიცვებს, ისე იმ გაფიცვებსაც, რომელიც აწი გამოცხადდება.

**გაფიცვის მოხსნა.** რიგაში ტრამვაის მუშათა გაფიცვა დასრულდა. მუშებს ჯამაგირის მომატებას შეპირდენ. შეპირდენ 1914 წლის იანვრიდან მოთხოვნილების ნაწილსაც დაკმაყოფილებთო.

**დაპატიმრება.** ფეხსაცმელების მკერავ-მუშათა კრებაზე დაპატიმრებულ როზენბლაუმს 3 თვის ციხე მიუსაჯეს. სხვა 12 მოხელეს ამავე კრებაზე დაპატიმრებულთ კი თითო თვით ციხეში ჯდომა.

**გაფიცვა** ჭაბიანიცაში შტეინის ქარხნის ქრისტიანი მუშები გაიფიცენ. გაფიცული მუშები თხოულობენ ექვსი ებრაელი მუშის განდევნას. ქარხნის ადმინისტრაცია გაფიცულ მუშების ადგილზე ებრაელ მუშებს ღებულობს.

**გაფიცვა გროზნაში.** პეტერბურგში ნავთის მრეწველებმა ცნობა მიიღეს, კავკავიდან დაბრუნდა მუშათა დეპუტაციაო. დეპუტაცია ყაზახების ატამანთან შუამდგომლობდა, რომ მუშებისათვის ნება მიეცათ კრების გამართვისა. ატამანს დეპუტაციისთვის საზოგადო კრების გამართვაზე უარი უთქვამს. მუშებმა აირჩიეს რწმუნებულები მრეწველებთან მოსალაპარაკებლათ.

15 სეკტემბერს ბერნში მუშათა კანონმდებლობის შესახებ საერთაშორისო კრება მოხდება. კრებას მუშათა კავშირების საბჭო იწვევს. კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე 16 სახელმწიფომ გააცხადა თანხმობა.

მიიღებს მონაწილეობას შემდეგი სახელმწიფოები: საფრანგეთი, გერმანია, დიდიბრიტანეთი, რუსეთი, იტალია, ავსტრია, დანია, ბელგია, ბულგარეთი, ჰოლანდია, ლიუკსენბურგი, პორტუგალია, ნორვეგია, შვეცია, ისპანია და უნგრეთი. კონფერენციას მრავალი წარმომადგენელი დაესწრება. ასეთი მრავალრიცხოვანი კონფერენცია ჯერ არ გამართულა. ამგვარ კონფერენციაში რუსეთი პირველათ იღებს მონაწილეობას. კონფერენციის პროგრამაში შედის ბავშთათვის ღამით მუშაობის აკრძალვა და ათი საათის სამუშაო დღის დაწესება.

**სინდიკალიზმი საფრანგეთში.** საფრანგეთში ამ რამდენიმე ხნის წინათ მუშათა ფედერაციების კრება გაიმართა. კრებაში მონაწილეობას ღებულობდენ ლითონის სამრეწველოებში მომუშავე მუშები. კრებაზე წარმოითქვა სიტყვები, სადაც გამოირკვა, რომ სინდიკალიზმი საფრანგეთში შესუსტებულა. პარტიის ოფიციალურ ანგარიშში სწერია:—1909 წელს 191 პროფესიონალური საზოგადოება გვქონდა მოწყობილიო. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ამ რიცხვს კიდევ მიემატა ასიო. პროფესიონალური საზოგადოებები წრევანდელ წლიდან კი ძალიან შემცირებულა. ლითონის სამრეწველოებში მომუშავეების ფედერაციას 146 გაფიცვაში მიუღია მონაწილეობა. აქედან 45 გამარჯვებით დასრულებულა. ამ გაფიცვებზე საჭირო ხარჯებს პარტიის კასა ერთობ დაუცარიელებია.

# უცხოეთი.

**პრესა და გერმანიის მთავრობა.** გერმანიის მართველ წრეებს პრესის შესახებ ძალიან ცუდი აზრი აქვს. პრესას ისე უყურებენ, როგ რც უსარგებლო რასმე. ბისმარკის სიტყვას, რომ ჟურნალისტი ცხოვრებაში დამარცხებული ადამიანი და სერიოზულ შრომისათვის გამოუსადეგარი პირიაო, ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი ტიერი ამბობდა:—ჟურნალისტათ ყოფნა შეიძლება, მაგრამ დარჩენა კი არაო. მართლაც საფრანგეთში ჟურნალისტი ბოლომდი იშვიათად დარჩენილა ჟურნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ვაჟ—შვ—ბის**
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო
**საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები**
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით
**ფასები დაუკლო.**

ახლად მიღებულია **ჩანთები** (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეების
„დღიური" „Дневникъ"
რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მოწაფეს მოთხოვნილებას და შედარებით **იაფ ფასად იყიდება.**



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის
ქ. ქუთაისში.
# ფ. ხ. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

**პატივისცემით ფ. ხ. ფილიპოვი.**


ლისტათ. იქ ჟურნალისტობა სახელის მოსახვეჭი საშვალებაა. კლემანსომ, ბრიანმა, პიშონმა, დელვასემ—ყველამ მოღვაწეობა პირველად ჟურნალისტობით დაიწყეს. ასეა საფრანგეთში, მაგრამ გერმანიაში სულ სხვანაირათ არის საქმე. პრესაზე ასეთმა შეხედულობამ თავისი ნაყოფი მოიტანა. გერმანიის მთავრობას საკუთარი გაზეთი არა აქვს. მხოლოდ ახლა არსდება მთავრობის ორგანო „გაზეთი გაზეთში". ამ ორგანოში წერილები სხვადასხვა ენაზე დაისტამბება.

**სერბიის მეფის მანიფესტი.** სერბიის მეფემ ახალ დაპყრობილ მიწების შესახებ მანიფესტი გამოსცა. ამ ადგილებში სარწმუნოების თავისუფლება და მცხოვრებლების უფლების მხრით სერბიელებთან გათანასწორება გამოცხადდა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე-133—№-ში მოთავსებულია „ნიბლიას" წერილი მდინარე ძირულის ხეობისა და გზების საჭიროებაზე შორაპნის მაზრაში. სხვათა შორის, ბ. კორესპონდენტი სწერს, რომ ჩემ მიერ აღძრული საქმე უმთავრესი გზის შესახებ (სამხედრო—იმერეთის გზატკეცილისა სურამიდან დაწყებული ქუთაისამდი) შესწყდა და აღარაფერი ისმისო- ამის შესახებ განვმარტავ შემდეგს: 1907 წ. მეფის მოადგილის საბჭოში შევიტანე შეკითხვა, და დავუსაბუთე, რომ სურამიდან მოყოლებული ქუთაისამდი აუცილებლათ საჭიროა ძველი გზატკეცილის აღდგენა მოხსენებაში დასაბუთებული მქონდა, 1896 წლის წყალდიდობის შემთხვევა. მაშინ ყველა ხედავდა, როგორ მოწყდა ქუთაისის გუბერნია თფილისისას, და თუ ბუნების ასეთი მოვლენა განმეორდა, იმ შემთხვევაში შარა გზა ხიფათის ასაცილებლათ მზათ უნდა იყოს-თქო. მეფის მოადგილის საბჭომ დიდი ყურადღება მიაქცია ჩემს მოხსენებას. საბჭომ 30 აპრილს და 11 ივლის 1908 წ. №№ 114091 14 417. წარადგინა საქმე Въ Военно. народное управленi (въ дорожную комисiи).

აქიდან ეს საქმე გადასცეს მეფის მოადგილის საფინანსო საბჭოს განყოფილებაში 1900 წ. თებერვლის 18—2 (№ 1588) ამ განყოფილებაში ვრცელი გეგმა შეადგინეს გზის გაყვანისა სურამიდან ზესტაფონამდი. ეს გეგმა მეფის მოადგილის საფინანსო განყოფილებამ 13—თებერვალს 1910 წელს (№ 4179) წარუდგინა თფილისის გზათა ოლქის უფროსს, ორ გზით შევეკითხე იქ. მაგრამ ნაყოფიერი პასუხი ველარ გამოვიტანე. ამ წელს ამ საქმის მთელი ვითარება წარუდგინე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ბ. ვ. გელოვანს, რომ მას აეძრა საკითხი გზათა მინისტრის წინაშე. ბ. გელოვანს ისიც მოვახსენე, რომ თერჯოლის საზოგადოებას და ჩხარს მიმავალი მგზავრი ვერ აცილდება, მდ. ჩოლაბურს და მეფის მოადგილის საბჭოს კანცელარიამ, გადასდვა 28 ათასი მანეთი ხიდის ასაგებათ ამ მდინარეზე; მესამედი ნაწილი ამ თანხისა კიდეც გამოგზავნილი იყო Въ Кут. Губ. стр. отдѣленiе. შეიქნა თუ არა სპარსეთის არეულობა, ეს თანხა უკანვე მოითხოვეს და ხიდის გაკეთება დღემდი შეჩერებულია. ბ. გელოვანს ჩემ მიერ ამის შესახებ მთელი მოხსენება აქვს მიწოდებული. აი, ამ საქმის ვითარება დღესდღეობით. ახლა ერთიღა დაგვრჩენია—ამ საქმის შუამდგომლობას ჩვენი დეპუტატიც და საზოგადოებაც ენერგიით და ყურადღებით მოკიდებოდენ.

მეთოდე ქათამაძე.

— —

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ, ეს მცირე განმარტება მოათავსოთ:

თქვენი გაზეთის მე-130-ე ნუმერში მოთავსებული იყო „ახალ ამბავში" შემდეგი ცნობა: „ამ სამოსწავლო წლიდან ონში იხსნება ახალი ტიპის სამოქალაქო შკოლა. მთავრობა ამ შკოლას სუბსიდიათ აძლევს 5800 მ. შკოლის შენობა ონელებმა უნდა ააგონ. ხალხი ამ ხარჯის გაღებაზე უარს ამბობსო...

ეს ათი წელიწადია თითქმის, რაც ზეციურ მანანასავით მოელოდა ხალხი სამოქალაქო შკოლის გახსნას და ამ მიზნისათვის უკვე რამდენი ხანია შესაფერი თანხაც გადადებულია და საკუთარი მიწაც შეძენილი და ნუთუ იმდენათ შეუგნებელი და ველურია ონელები, რომ, როდესაც დიდი ხნის სურვილის დაკმაყოფილებას მოვესწარით, ხელი ვკრათ განათლების ლამპარს და შენობის მიცემაზე უარი განვაცხადოთ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც, გარდა ერთკლასიანი და ორკლასიანი შკოლებისა, არავითარი სასწავლებელი არ მოგვეპოება მთელს მაზრაში და ერთი წლის წინათ აქ გახსნილი სამასწავლებლო შკოლა კი ბნელი ძალების მეოხებით წაგვერთვა?!. ცნობის მიმწოდებელი, ალბათ, შემდეგმა გარემოებამ შეაცდინა:—საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა მოინდომა ახალი ტიპის სასწავლებელი ორივე სქესის ბავშთათვის გამოეყენებია, რადგან კანონი ამის ნებას იძლევა, ამისათვის საჭიროა მხოლოდ საზოგადოების განაჩენი. ამ მიზნით თავშეყრილი ონის საზოგადოება, როგორც ყოველთვის, სიღარიბით წელგაწყვეტილი, შიშობდა პირველ ხანებში ახალი გადასახადი არა შემატებოდა რა და ყოყმანობდა განაჩენის დადგენაზე. მაგრამ მცირე განმარტებას შემდეგ სიამოვნებით დათანხმდენ. სულ ეს იყო.

არათუ შენობის აგების უარზეა საზოგადოება, პირიქით დაბეჯითებითაც მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე უზრუნველყოფილ იქმნეს სასწავლებელი ამ მხრით და კიდევაც გადაწყვეტილი აქვს საამშენებლო კომიტეტს შეუდგეს საქმეს გაზაფხულიდანვე.*)

**დავ. კერესელიძე.**

*) როგორც გვაგონდება, ხსენებული ცნობა ერთი ადგილობრივი რუსული გაზეთიდან ამოვიღეთ. რედ.

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ ჭელიძე.**


ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
**საბუღალტრო კურსებ**
**ნ. ვ. აბრაამიანისა**
(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაგძელდება.**

მეცადინობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოთ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერის, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მათოდით, მაგრამ სპეციალურათ იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრების უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს „სჩოტებზე" და კალიგრაფიას, არა სავალდებულოთ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიასი საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულათ და თეორიულათ მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტათ მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებილია დამატებით მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისთვისა და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდი. და საღამოს 5—7 საათამდი.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვადასხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადათ და წერილობით მომართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა. 22, ს. ს. ტელეფონი 744.



**ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დაგჭირდებათ**
**საუკეთესო ცემენტი,**
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
**ძმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში**
**ქუთაისში** პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის სღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დღ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.


**КУРСЫ** кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
**ПРIЕМЪ** заказовъ на элегантные дамскiе наряды
**M-me МАРИ**

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМIЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованiя курсовъ и прiема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россiи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какiя систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятiй остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною специальная мастерская для прiема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающiеся изящностью фасона и художсственностью работы. Полное угежденiе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексаноровская улица, домъ Бокерiя противъ бульвара.

Съ почтенiемъ **M-me МАРИ.**



ხრესილი.
**სამკურნალო აბანო**
მეირფასი მთის აერზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
ახლად გახსნილი მშვენივრად მოწყობილი.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



**გ. მორდაძის და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ... უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბეშსკის ... ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСК..."
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.